

საპროცესო შეთანხმება: მართლმსაჯულების განხორციელება თუ პროკურორის დისკრეციულობა

ანნა ქილიტაშვილი

*სამართლის დოქტორი,
საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია
პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის
აფილირებული ასოცირებული პროფესორი,
ევროპის უნივერსიტეტის პროფესორი*

საკვანძო სიტყვები: საპროცესო შეთანხმება,
მართლმსაჯულება, პროკურორის დისკრეციულობა

შესავალი

საპროცესო შეთანხმების მიმოხილვა
საქართველოში

თანამედროვე სისხლის სამართლის პროცესში სწრაფი მართლმსაჯულების პრინციპის რეალიზაციის შედეგად, აქტიურად მკვიდრდება დაჩქარებული სამართალწარმოება – ე.წ. „სწრაფი სასამართლოს ინსტიტუტი“. საპროცესო შეთანხმება არის ინსტიტუტი, რომელიც იძლევა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შესაძლებლობას და მისი მთავარი უპირატესობა ის არის, რომ იგი მართლმსაჯულების სწრაფ განხორციელებას უწყობს ხელს. აღნიშნულმა ინსტიტუტმა საქართველოში ფართოდ დაიმკვიდრა ადგილი და იურისტთა კრიტიკის მიუხედავად, შემოღების დღიდან სისხლის სამართლის საქმეების უმრავლესობაში იქნა გამოყენებული. საპროცესო გარიგების რაოდენობა,

ანა ქილიტაშვილი

ბოლო 10 წლის განმავლობაში, თანდათან იზრდებოდა და მაქსიმალურ მაჩვენებლს 2013 წელს მიაღწია, თუმცა 2014 წელს, საქმეების მთლიან რაოდენობასთან შედარებით, საპროცესო შეთანხმების გამოყენება მკვეთრად შემცირდა. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემებით, 2007 წელს, პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანით განხილული სისხლის სამართლის საქმეებიდან საპროცესო შეთანხმებით დასრულდა საქმეთა საერთო რაოდენობის 48,1%, 2008 წელს – 52,2%, 2009 წელს – 58,2%, 2010 წელს – 80,2%, 2011 წელს – 87,5%, 2012 წელს – 87,8%, 2013 წელს – 89,1%, 2014 წელს – 69,7%, 2015 წელს – 63,7%, 2016 წელს – 62,5%, 2017 წელს კი საპროცესო შეთანხმებებით დასრულებულ საქმეთა რაოდენობა კვლავ გაიზარდა და 69,6% შეადგინა, ხოლო 2018 წელს კი 65,9%.¹

საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით, იურისტებს შორის ყოველთვის არსებობდა განსხვავებული პოზიციები. ზოგი მას დადებითად აფასებდა და საკუთარ პოზიციას ამტკიცებდა იმით, რომ საპროცესო შეთანხმება მართლმსაჯულების სისტემას უფრო სწრაფსა და ეფექტიანს ხდის, ოპონენტებს კი მიაჩნიათ, რომ

ეს ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის პროცესის წამყვან პრინციპებს – ზღუდავს მხარეთა შეჭიბვებითობასა და თანასწორუფლებიანობას (სსსკ.მე-9 მუხლი), ბრალდებულის სამართლიანი პროცესისა და სწრაფი მართლმსაჯულების უფლებას (სსსკ.მე-8მუხლი), თუმცა ზოგი საპროცესო შეთანხმების მიზანშეწონილობას კითხვის ქვეშ მანაც აყენებს, რადგან მიიჩნევს, რომ იგი ჯეროვნად არ სჯის დამნაშავეს და ამით უგულებელყოფს სასჯელის მიზანს.

საერთაშორისო ისტორიული მიმოხილვა, რომელიც ასახავს საპროცესო შეთანხმების ძირითადი პრინციპების ელემენტებს:

აღნიშნული ინსტიტუტი წარმატებით ფუნქციონირებს მრავალ ქვეყანაში, რომელიც ერთმანეთისგან განსხვავდება როგორც სამართლებრივი მემკვიდრეობით, ისე მოქმედი კანონმდებლობით. მაგ.: აშშ, იტალია, საფრანგეთი, ესტონეთი, არგენტინა, კანადა, ბულგარეთი, ინდოეთი და ა.შ., რაც მის ეფექტურობას უსვამს ხაზს. საინტერესოა, რომ სისხლის სამართლის საქმეთა 90-95 % საპროცესო შეთანხმებით სრულდება, ხოლო ევროპის ქვეყნებში ეს მაჩვენებელი, საშუალოდ, 25 % – ია.² აღსა-

I ინსტანციის სასამართლოების მიერ საპროცესო შეთანხმებით განხილულ საქმეებზე

კ ა ტ ე გ ო რ ი ა	2018 წელი		2017 წელი		%	
	საქმე	პირი	საქმე	პირი	საქმე	პირი
შემოსული საპროცესო შეთანხმებები:						
-არსებითი განხილვის გარეშე	6483	6978	5970	6414	8,6%-ით მეტი	8,6%-ით მეტი
-არსებითი განხილვით	3183	3869	3520	4133	9,6%-ით ნაკლები	6,4%-ით ნაკლები
გამოტანილია განაჩენი საპროცესო შეთანხმებით	9573	10750	9355	10403	2,3%-ით მეტი	3,3%-ით მეტი
არსებითი განხილვის გარეშე შემოსული საქმეებიდან დაუბრუნდა პროკურატურას	95	98	130	139	26,9%-ით ნაკლები	29,5%-ით ნაკლები

1 <http://www.supremecourt.ge/statistics>

2 თოღრია მ., საერთაშორისო სამეცნიერო უნრნალი,

ნიშნავია ის ფაქტიც, რომ XX საუკუნის მეორე ნახევრიდან ძალას იკრებს სისხლის სამართალწარმოების საერთაშორისო-სამართლებრივი უნიფიკაციის პროცესი.³

„საერთო (Common Law) და რომანო-გერმანული სამართლის (Roman Law) სისტემის ქვეყნები ახდენენ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელთა მთავარი მიზანი გაეროს „ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციითა (Universal Declaration of Human Rights) და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის (Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms) ევროპის კონვენციით აღიარებული ფუნდამენტური უფლებების რეალიზაციის პროცედურული იმპლემენტაციაა ეროვნულ დონეზე“⁴.

- 1633 წელს, გალილეო გალილეის “წმინდა ინკვიზიციამ” ყოველკვირული მონანიების ფსალმუნების კითხვისა და კოპერნიკის სწავლების უარყოფის ნაცვლად, შინაპატიმრობა შეუფარდა.
- 1931 წელს, ცნობილმა განგსტერმა ალ კაპონემ თავი დამნაშავედ ცნო გადასახადების დამალვაში და შვიდ-ნახევარი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა ალკატრასის ციხეში. ბუნებრივია, რომ სხვა, უფრო მძიმე ბრალდებების წარდგენის საფრთხის გათვალისწინებით, ამგვარი აღიარება იძულებითი ნაბიჯი იყო მისი მხრიდან.
- 1969 წელს, ჯიმს ერლ რეიმ, სასიკვდილო განაჩენის ასაცილებლად, თავი დამნაშავედ ცნო მარტინ ლუთერ კინგის მკვლელობაში, რის შემდეგაც სასამართლომ მას 99 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.
- 1973 წლის ოქტომბერში, ამერიკის შეერთებული შტატების 39-ე ვიცე-პ-

რეზიდენტ სპირო თეოდორ აგნიუსს წარუდგინეს ბრალდება თაღლითური გზით გადასახადების დამალვასა და გამოძალვაში (მან ვერ შეძლო 1967 წელს 29.500 აშშ დოლარის ოდენობით მიღებული შემოსავლის დასაბუთება). სპირო თეოდორ აგნიუმ საქმის (ბრალდებების) განხილვა სასამართლოში არ მოისურვა. მოსალოდნელი მძიმე სასჯელის ნაცვლად, საპროცესო შეთანხმების შედეგად, სასამართლომ იგი დაატარიმა 10.000 აშშ დოლარით და სამი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, რომელიც პირობითად ჩაუთვალეს და, რა თქმა უნდა, შეთანხმების ერთ-ერთი პირობა მისი გადადგომა იყო ვიცე-პრეზიდენტის პოსტიდან.

თანამედროვე საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის სამშობლოა ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც საპროცესო შეთანხმება პირველად 1900 წელს შემოიღეს, ხოლო დღეისთვის, ევროპის მრავალ ქვეყანაშიც წარმატებით მოქმედებს. საკანონმდებლო დონეზე ამ ინსტიტუტის რეგლამენტირება მოხდა მას შემდეგ, რაც მისი გამოყენების გამოცდილება უკვე დაგროვილი იყო პრაქტიკაში. აშშ-ში, დღეისათვის, „ბრალის აღიარებაზე გარიგების“ გზით გადაწყვეტილ საქმეთა ხვედრითი წილი 90%-ს უტოლდება. საპროცესო შეთანხმების საკანონმდებლო რეგულირებითა და მისი გამოყენების პრაქტიკული თავისებურებებით, ერთმანეთისაგან განსხვავდება ამერიკული და ევროპული სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობები. აშშ-ში ამ ინსტიტუტს მიმართავენ სისხლის სამართლის საქმეთა სწრაფი განხილვისა და სახელმწიფო რესურსების დაზოგვის მიზნით (ეკონომიკური თვალსაზრისით), ასევე მთელი საზოგადოების ინტერესებისა და, კონკრეტულად, ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით.

საპროცესო შეთანხმება – ეს არის შეთანხმება/გარიგება სისხლის სამართლის დევნის ორგანოს და ბრალდებულს შორის, ბრალდების ფორმულირების/ინკრი-

საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში – განვითარების ეტაპები და პერსპექტივები, თბ 2015, 98.

3 მანაგაძე დ., სამეცნიერო პრობათა კრებული, საერთაშორისო სამართლისა და მართვის ქართულ-ბრიტანული უნივერსიტეტი, საპროცესო შეთანხმება – გამოცდილება და პრაქტიკა, ტ. III თბ. 2010, 167.

4 იქვე, 167-168.

მინირებული ქმედების ფარგლებისა და სასჯელის შესახებ. აშშ-ში გამოიყენება საპროცესო შეთანხმების შემდეგი სახეები: Charge bargaining, Sentence bargaining, Fact bargaining.

თითოეული ფორმის თავისებურებანი შეთანხმების შინაარსში გამოიხატება, კერძოდ: Charge Bargaining – შეთანხმება ბრალის შესახებ – შეთანხმების საყოველთაოდ ცნობილი და ხშირად გამოყენებადი ფორმაა, რომელიც გულისხმობს მოლაპარაკებების წარმოებას, რომლის დროსაც, პროკურორი, ბრალის აღიარების სანაცვლოდ, იღებს გადაწყვეტილებას ბრალდების შემსუბუქების ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე (მაგალითად, განზრახ მკვლელობის ბრალდება შეიცვლება გაუფრთხილებლობით სიცოცხლის მოსპობის ბრალდებით);

Sentence Bargaining – შეთანხმება სასჯელის შესახებ – შეთანხმების ფორმაა, როდესაც მოლაპარაკებები მიმდინარეობს კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში წარდგენილი ბრალის აღიარების სანაცვლოდ, მსუბუქი სასჯელის მოთხოვნის პირობით. ბრალდებული აღიარების მიღებით ზოგავს დროს და აღარ უხდება დამატებითი მტკიცებულებების მოძიება სასამართლოში საკუთარი პოზიციის დასასაბუთებლად. ამ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ბრალდების შინაარსი არ იცვლება და, შესაბამისად, საუბარია მხოლოდ გათვალისწინებული სასჯელის შემსუბუქების მოთხოვნაზე;

Fact Bargaining – შეთანხმება ფაქტზე – შეთანხმების ფორმაა, რომლის თანახმადაც, ბრალმდებელი და ბრალდებული თანხმდებიან სისხლის სამართლის საქმეზე გარკვეული ფაქტების არსებობაზე – სანაცვლოდ, ბრალმდებელს არ შეაქვს სასამართლოში წარსადგენ მტკიცებულებათა ნუსხაში სხვა ფაქტები. ფაქტებში იგულისხმება როგორც ნივთიერი, ასევე ვერბალური მტკიცებულებები (მაგ. მოწმის ჩვენება, სათანადო ექსპერტიზის დასკვნა და ა.შ.).

საპროცესო შეთანხმების შინაარსი (გაფორმების პროცედურა, დაზარალებულის უფლებები, გამოყენების შეზღუდვა დანაშაულთა გარკვეული წრით, სასამა-

რთლოს როლი) იცვლება სამართლებრივი სისტემის, ეროვნული კანონმდებლობის სპეციფიკისა და საპროცესო შეთანხმების მიზნის გათვალისწინებით⁵. მაგალითად: იტალიაში, სადაც საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი მე-20 საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისიდან მოქმედებს, არსებობს შეზღუდვები იმ მიმართულებით, თუ რა კატეგორიის დანაშაულზეა შესაძლებელი საპროცესო შეთანხმების დადება. კერძოდ, ასეთი შეთანხმება იდება მხოლოდ ისეთ დანაშაულზე, რომლისთვისაც, სასჯელის სახით, გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 5 წლამდე ვადით ან ჯარიმა. ამასთან, საპროცესო შეთანხმება იდება მხოლოდ სასჯელზე, რის შედეგადაც, შესაძლებელია სასჯელის შემცირება 1/3-მდე. სლოვაკეთში საპროცესო შეთანხმების გაფორმება შესაძლებელია განზრახ დანაშაულზე, თუ სასჯელის სახით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადა არ აღემატება 3 წელს, ხოლო გაუფრთხილებლობით ჩადენილ დანაშაულზე – 5 წელს. ესტონეთში საპროცესო შეთანხმება არ გამოიყენება, თუ მინიმალური სასჯელი 4 წელს აღემატება, ხოლო მაქსიმალური-უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ასევე, თუ დაზარალებული და ერთ-ერთი თანამონაწილე წინააღმდეგია. ინდოეთშიც საპროცესო შეთანხმების გამოყენება მხოლოდ გარკვეული კატეგორიის, კერძოდ, ისეთ დანაშაულებზეა შესაძლებელი, რომელთათვისაც სასჯელის სახით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა 7 წლამდე ვადით. ინდოეთის კანონმდებლობით, საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაუშვებელია, თუ დანაშაულის მსხვერხლი არის ქალი ან 14 წელს მიუღწეველი პირი. გარდა ამისა, ასეთი შეთანხმების დადება იზღუდება იმგვარ დანაშაულზეც, რომელიც საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას⁵.

საქართველოსა და საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კანონ-

⁵ ავტორთა ჯგუფი, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო სამართალი, კერძო ნაწილი, 2017 წ., გვ 564-566.

ნმდებლობაში საპროცესო შეთანხმება, პრაქტიკულად, ერთდროულად შემოიღეს და 2004 წლის თებერვალში დაინერგა. საფრანგეთში ამ ინსტიტუტის შემოღების მოტივაცია, ძირითადად, ორგანიზებულ დანაშაულთან უფრო ეფექტური ბრძოლა და სასჯელის შემცირებით ბრალდებულისათვის გამოძიებასთან თანამშრომლობის სტიმულირება იყო. ფრანგული სისტემა ანგლო-საქსურ Plea Bargaining-ს, ბრალის აღიარების გარიგებას არ იცნობს, თუმცა ითვალისწინებს ორ პირობას, რომელიც ამ ინსტიტუტს უახლოვდება. საფრანგეთის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში საპროცესო შეთანხმების მარეგულირებელი ნორმები 495-495/16 მუხლებში გვხვდება და მას გამართივებული სამართალწარმოება ეწოდება. 1. ზოგ დანაშაულზე კანონი იძლეოდა საქმის მორიგებით დამთავრების შესაძლებლობას სასამართლოს მონაწილეობის გარეშე; 2. ზოგ შემთხვევაში კი, მაგალითად, როცა საქმე ნარკომანიასთან დაკავშირებულ დანაშაულს ეხებოდა, სასამართლოს მონაწილეობა სავალდებულო იყო. თავდაპირველად, აღნიშნული პროცედურა გამოიყენებოდა ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული გარკვეული კატეგორიის საქმეებზე, ხოლო დღეს, საფრანგეთში საპროცესო შეთანხმება ყველა იმ დანაშაულზე გამოიყენება, რომელთა ჩადენისთვისაც სასჯელი არ აღემატება 5 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთას – (საქართველოს ს. ს. კოდექსის მიხედვით კი საპროცესო შეთანხმება უნდა გავრცელდეს მხოლოდ ნაკლებად მძიმე დანაშაულზე?).

გერმანიის მსგავსად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი არ ითვალისწინებს საპროცესო შეთანხმების გამოყენების შეზღუდვას დანაშაულთა გარკვეული წრის მიხედვით, თუ ბრალდებული დანაშაულს აღიარებს. ამასთან, ქართული მოდელის მიხედვით, საპროცესო შეთანხმება შეიძლება შეეხოს როგორც სასჯელს, ასევე ბრალდების ფარგლებს.

საპროცესო შეთანხმების დადების პროცედურები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ, საბოლოო რედაქციის მიხედვით, სასამართლოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოაქვს გამამტყუნებელი განაჩენი და მართლმსაჯულების საფუძველია საპროცესო შეთანხმება, რომლის მიხედვითაც, ბრალდებული 1. აღიარებს დანაშაულს და 2. უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, 3. ბრალდების შემსუბუქებაზე ან 4. ნაწილობრივ მოხსნაზე. მნიშვნელოვან სიახლეს წარმოადგენს ისიც, რომ საპროცესო შეთანხმების დადებისას, ბრალდებული პროკურორს საქ. სსსკ 209-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებულ პირობებთან ერთად, შეიძლება შეუთანხმდეს თანამშრომლობაზე ან/და ზიანის ანაზღაურებაზე⁶, საქ. სსსკ. მუხ 209. ნაწ. 2 განსაზღვრავს საპროცესო შეთანხმების დამატებით პირობებს, როგორცაა თანამშრომლობა ან/და ზიანის ანაზღაურება. მხოლოდ ბრალის აღიარებასთან ერთადაა შესაძლებელი ზემოაღნიშნული დამატებითი პირობებიდან ერთ-ერთის ან ორივეს ერთდროულად გამოყენება, ანუ ბრალდებულის მიერ დანაშაულის აღიარების გარეშე მხოლოდ თანამშრომლობაზე ან/და მხოლოდ ზიანის ანაზღაურებაზე საპროცესო შეთანხმების გაფორმება დაუშვებელია.

საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე მოლაპარაკების მიმდინარეობისას, ბრალდებულს სავალდებულოა, ჰყავდეს ადვოკატი (საქ. სსსკ. მუხ. 45. ნაწ. ვ) („თუ მასთან მიმდინარეობს მოლაპარაკება საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე“) და ჰქონდეს მისგან კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა. საპროცესო შეთანხმება უნდა დაიდოს წამების, არაადამიანური, დამამცირებელი მოპყრობის ან სხვაგვარი ძალადობის, დაშინების, მოტყუების ან რაიმე უკანონო დაპირების გარეშე. ბრა-

6 საქ. სსსკ. მუხ. 209. ნაწ. 2.

ლდებულს უფლება აქვს, სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანამდე, ნებისმიერ დროს თქვას უარი საპროცესო შეთანხმებაზე და მოითხოვოს სასამართლოს მიერ საქმის არსებით განხილვა. ამასთან, თუ სასამართლო გააუქმებს განაჩენს საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ ან ბრალდებული თვითონ განაცხადებს უარს საპროცესო შეთანხმებაზე, დაუშვებელია ბრალდებულის მიერ მიცემული ჩვენების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება. საპროცესო შეთანხმების გაფორმების გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი, უპირველეს ყოვლისა, უნდა დარწმუნდეს, აცხადებს თუ არა ზემდგომი პროკურორი თანხმობას საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე. მიუხედავად იმისა, თუ ვისი ინიციატივით დაიდო საპროცესო შეთანხმება, პროკურორის შუამდგომლობას უნდა ერთვოდეს ბრალდებულის წერილობითი განცხადება/თანხმობა.

ის გარემოება, რომ საქართველოს მოქმედი საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს რაიმე შეზღუდვას ან დათქმას სხვადასხვა კატეგორიის დანაშაულზე, საპროცესო შეთანხმების დადების შესაძლებლობასთან დაკავშირებით, გარკვეულ თავისუფლებას ანიჭებს პროკუროს. თუმცა, ამავდროულად, საქ. სსსკ 210-ე მუხლის მე-3 ნაწილი გვთავაზობს ერთგვარ შეზღუდვას, როდესაც პროკურორს იმპერატიულად სთხოვს, გამოიჩინოს მეტი წინდახედულება და ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნის ან ბრალდების შემსუბუქების, ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, გაითვალისწინოს საჯარო ინტერესი, რომელსაც იგი სახელმწიფოს სამართლებრივი პრიორიტეტების, ჩადენილი დანაშაულისა და მოსალოდნელი სასჯელის სიმძიმის, დანაშაულის ხასიათის, ბრალეულობის ხარისხის, ბრალდებული საზოგადოებრივი საშიშროების, პიროვნული მახასიათებლების, ნასამართლეობის, გამოძიებასთან თანამშრომლობის ხარისხს განსაზღვრავს. გარდა ამისა, საქ. სსსკ. მუხ 210.

12. საპროცესო შეთანხმების დადებისას, პროკურორი ვალდებულია, გააფრთხილოს ბრალდებული საპროცესო შეთანხმების შედეგების შესახებ და განუმარტოს მას, რომ საპროცესო შეთანხმების დადების შემთხვევაში, სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი მტკიცებულებების უშუალოდ და ზეპირად გამოკვლევის გარეშე გამოაქვს და საპროცესო შეთანხმების დადება არ ათავისუფლებს ბრალდებულს სამოქალაქო და სხვა სახის პასუხისმგებლობისგან.

13. განსაკუთრებულ შემთხვევაში, საქართველოს გენერალურ პროკურორს ან მის მოადგილეს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ. ამ შემთხვევაში, სამოქალაქო პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ეკისრება; სამოქალაქო პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას კანონი ითვალისწინებს განსაკუთრებულ შემთხვევაში, თუმცა არ მიუთითებს, რა შეიძლება იყოს მიჩნეული ამგვარ შემთხვევად. თუ სახეზეა სსსკ 210 მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული გარემოებები. „ბრალდებულისათვის სასჯელის შემცირების მოთხოვნისას ან ბრალდების შემსუბუქების, ან ნაწილობრივ მოხსნის თაობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, პროკურორი ითვალისწინებს საჯარო ინტერესს“, რომელიც თავისი არსით განსხვავდება საპროცესო შეთანხმების გაფორმების ჩვეულებრივი შემთხვევისაგან. სახეზეა განსაკუთრებული თანამშრომლობა გამოძიებასთან, სრულად არის ანაზღაურებული დანაშაულის შედეგად მიყენებული ზიანი, დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულის მონაწილეობის ხარისხი მინიმალურია და ა.შ.⁷ სსსკ-ში 2014 წლის განხორციელებული ცვლილების შედეგად, საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი და სსსკ 210 მუხლის მე-6 ნაწილით „საპროცესო შეთანხმების შესახებ დგება ოქმი, რომელშიც ასახულია ბრალდებულ-

7 საქ. სისხლის სამართლის პროცესი – კერძო ნაწილი, (ჯ.გახოკიძე, ი.გაბისონია, გ. შამნიაშვილი – რედაქტორები), თბ., 2015 წ., გვ 636.

სა და პროკურორის შორის მოლაპარაკების პროცესი (საპროცესო შეთანხმების ოქმი). საპროცესო შეთანხმების ოქმის ასლი ბრალდებულსა და მის ადვოკატს გადაეცემა“. აღსანიშნავია, რომ ამ ცვლილებამდე მოქმედი კანონი ითვალისწინებდა საპროცესო შეთანხმების წერილობით გაფორმებას, რომელშიც აისახებოდა ბრალდებულსა და პროკურორს შორის მოლაპარაკების პროცესი. სსსკ 211 მუხლის მიხედვით, თუ პროკურორი ბრალდებულთან საპროცესო შეთანხმების დადებაზე შეთანხმდებიან, პროკურორი წერილობით ადგენს შუამდგომლობას სასამართლოსათვის, სადაც აღწერს: ბრალდებულის დემოგრაფიულ მონაცემებს, სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით – ინკრიმინირებულ ქმედებას და ყველაზე საყურადღებოა ის, რომ სსსკ-ის კოდექსის კონსოლიდირებულ ვერსიაში გათვალისწინებული დასაბუთებული ვარაუდის პირველი მტკიცებულებების სტანდარტით გათვალისწინებული სსსკ მე-3 მუხლის 11¹ ნაწილით კანონმდებელი მოითხოვს სამ პირობას – საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად საკმარისია, თუ: ბრალდებული 1. აღიარებს ჩადენილ დანაშაულს (შეიძლება თვითგანთქმით), 2. სადავოდ არ ხდის ბრალდების მხარის მიერ წარდგენილ მტკიცებულებებს, (ყველა მოპოვებული მტკიცებულება იქნენ ე.წ. „პრეიუდიციულ ძალას“) 3. უარს ამბობს თავის კონსტიტუციურ უფლებაზე, რომ სასამართლომ არსებითად განიხილოს სისხლის სამართლის საქმის ფაქტობრივი გარემოებანი.

სასამართლოს პროკურორი თავის შუამდგომლობაში აწვდის ინფორმაციას ბრალდებულის გამოძიებასთან თანამშრომლობაზე, საკმარის მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულია გამოძიების სტადიაზე და რომლის კანონიერება, იქნება ეს მაკვალიფიცირებელი თუ მაინდენტიფიცირებელი მტკიცებულებები, სათანადოდ არ არის არც შესწავლილი და არც წარმოდგენილი სსსკ მე-3 მუხლის 11¹ ნაწილის მიხედვით. როგორც პრაქტიკა მოწმობს, ბრა-

ლდებულის დაკავების შემთხვევაში, სსსკ. 171 მუხლის მე-2 ნაწილით მიმდინარეობს პირის დაკავება სასამართლოს განჩინების გარეშე – „ბრალდებულის დაკავება და პირადი ჩხრეკის ოქმი“, გვევლინება ძირითადი მტკიცებულებით, სადაც დაკავებულს ავტომატურად ბრალდებულის სტატუსი ენიჭება და აღნიშნულ პირობებში, ადვოკატი, როგორც წესი, ბრალდებულს ჰპირდება საპროცესო გარიგებას და პროკურორი, თავისი დისკრეციულობიდან გამომდინარე, იწყებს ბრალდებულთან მოლაპარაკებას სასჯელის სახეზე და ზომაზე. კანონით დადგენილი წესით, საქმის არსებითი განხილვის თაობაზე, გადაწყვეტილებას სასამართლო იღებს მაშინ, როდესაც საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხი განიხილება საქმის არსებითი განხილვის სხდომაზე და სასამართლო უარს ამბობს მის დამტკიცებაზე სხვა საფუძვლით (მაგ: სასჯელის სიმკაცრის მოტივით). საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის შემთხვევაში, პროკურორს საქმე უკან არ უბრუნდება. კანონით დადგენილი წესით გრძელდება არსებითი განხილვა და მოსამართლეს გამოაქვს გამამართლებელი ან გამამტყუნებელი განაჩენი. სასამართლო უფლებამოსილია, არ დაამტკიცოს საპროცესო შეთანხმება, თუმცა თუ დაამტკიცებს, მას არ აქვს საკუთარი ინიციატივით პირობების შეცვლის უფლება – სასამართლო მსჯელობს საპროცესო შეთანხმების შინაარსზე და არა სასჯელზე? პირობები შეიძლება, რომ შეიცვალოს მხარეთა ურთიერთშეთანხმებით ან სასამართლოს წინადადებით. ამგვარი ცვლილება სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე, განაჩენის გამოტანამდე უნდა განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, სასამართლო მხარეებს სთავაზობს, შეცვალონ საპროცესო შეთანხმების პირობები – ამ შემთხვევაშიც სასამართლო ასრულებს რეკომენდატორის როლს და არ ახორციელებს მართლმსაჯულებას. შემდეგ საპროცესო შეთანხმების პირობების ცვლილება შეთანხმებული უნდა იყოს ზემდგომ პროკურორთან – პროკურორის დისკრეციულობა

აღნიშნულ პირობებშიც პრიორიტეტულია. თუ სასამართლოს საპროცესო შეთანხმების შეცვლილი პირობებიც არ აკმაყოფილებს, იგი არ ამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას და საქმეს პროკურორს უბრუნებს – ამ ამონარიდშიც არ არის საუბარი არც ბრალის ფორმულირებაზე, არც ინკრინინირებული ქმედების მიხედვით სასჯელის შეფარდებაზე. სამართლებრივი მექანიზმების გაანალიზების შედეგად ჩნდება კითხვა, თუ რამდენად გამართლებულია მტკიცებულებების უკმარისობის გამო, საქმის პროკურორისთვის დაბრუნება წინასასამართლო სხდომის ან საქმის არსებითი განხილვის ეტაპზე, ანუ მაშინ, როდესაც მხარეების მიერ მტკიცებულებების მოპოვება და სასამართლოში წარდგენა უკვე დასრულებულია, როცა ახალი მტკიცებულებების დაშვება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ გამონაკლის შემთხვევებშია შესაძლებელი.

„ბრალდებულის დაკავება და პირადი ჩხრეკის ოქმი“, დაზარალებულის უფლებები საპროცესო შეთანხმების დადებისას

გვერდს ვერ აუვლი დაზარალებულის ინსტიტუტს. პროკურორის დისკრეციულობა ჩვენ გვხვდება, როდესაც სამართალწარმოება შეეხება დაზარალებულის უფლებებს საპროცესო შეთანხმების დადების პროცესში. აღსანიშნავია, რომ დაზარალებულს არ აქვს საპროცესო შეთანხმების გასაჩივრების უფლება, თუმცა საპროცესო შეთანხმება მას არ ართმევს უფლებას, შეიტანოს სამოქალაქო სარჩელი (სისხლის სამართლის საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ – სამოქალაქო წესით ბრალის ანაზღაურებაზე). საპროცესო შეთანხმების დადებისას, დაზარალებულის მონაწილეობა მინიმალურია და შემოიფარგლება პროკურორის ვალდებულებით, კონსულტაცია გაიაროს მასთან. კერძოდ, საქ. სსსკ 217-ე მუხლის

მიხედვით, პროკურორი ვალდებულია, საპროცესო შეთანხმების დადებაამდე დაზარალებულთან გაიაროს კონსულტაცია, რისი მიზანიც საპროცესო შეთანხმების გაფორმებაზე დაზარალებულის პოზიციის გარკვევაა. მართალია, დაზარალებულის უარი სამართლებრივად არ აბრკოლებს საპროცესო შეთანხმების დადებას, მაგრამ მის პოზიციას დიდი მნიშვნელობა აქვს პროკურორისთვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში, განსაკუთრებით სისხლის სამართლის ისეთ საქმეებზე, სადაც დაზარალებულს მიადგა ფიზიკური ან მატერიალური ზიანი, რომელიც არ არის ანაზღაურებული-აქაც სახეზეა მხოლოდ პროკურორის დისკრეციულობა.

საქართველოსაგან განსხვავებით, მაგ: სლოვაკეთში, საპროცესო შეთანხმების თაობაზე მოლაპარაკების პროცესში ბრალდებულთან და პროკურორთან ერთად მონაწილეობს დაზარალებულიც. აშშ-ში დაზარალებულს უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი ხედვა საპროცესო შეთანხმების შესახებ მოსამართლის წინაშე, რასაც მოსამართლე აუცილებლად გაითვალისწინებს. ინდოეთის კანონმდებლობის მიხედვით კი, სასამართლო არ დაამტკიცებს საპროცესო შეთანხმებას, თუ დაზარალებულისთვის მიყენებული ზიანი არ იქნება წინასწარ ანაზღაურებული.

საქ. სსსკ-ის 217 მუხლის 1¹ ნაწილი დაზარალებულს უფლებას ანიჭებს, სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას, სასამართლოს წერილობით ან სასამართლოს სხდომაზე მოსამართლეს ზეპირად მიაწოდოს ინფორმაცია იმ ზიანის შესახებ, რომელიც მას დანაშაულის შედეგად მიადგა, თუმცა აღნიშნული ინფორმაციის მიწოდება რაიმე გავლენას საპროცესო შეთანხმების დამტკიცების პროცესზე არ ახდენს და ამ მექანიზმს დაზარალებულისათვის სასურველი შედეგის მოტანა არ შეუძლია. დაზარალებულს უფლება არ აქვს, სისხლის სამართალწარმოების წესით მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და მან, ამგვარი მოთხოვნით, სამოქალაქო სარჩელით უნდა მიმართოს

სასამართლოს. შესაბამისად, კონკრეტული მიზნის გარეშე დაზარალებულის მიერ მოსამართლისათვის ზიანის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას მხოლოდ ფორმალური ხასიათი აქვს და დამოკიდებულია პროკურორის გადაწყვეტილებაზე.

დასკვნა

ნაშრომში განხილულია სასამართლო პრაქტიკა და სხვადასხვა ქვეყნის მოდელები, რაც შედარებულია ქართულ სისხლის სამართლის პროცესთან, გაშუქებულია საპროცესო შეთანხმების ეფექტურობა, რაც დასტურდება სტატისტიკური მონაცემების ანალიზით. გვსურს ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი წარმოადგენს ვრცელ და კომპლექსურ საკითხს, რომელიც დეტალურ კვლევას საჭიროებს. შესაბამისად, ვეცადეთ, მასთან დაკავშირებული პრობლემები შეგვესწავლა, როგორც ქართული ისე უცხოური ქვეყნების მაგალითზე. დასკვნის სახით რამდენიმე წინადადებას მოვიყვანთ, რომლებიც გახდის საპროცესო შეთანხმების გამოყენებას უფრო მოქნილ და თანამედროვე ინსტიტუტად საქართველოს სისხლის სამართალწარმოებაში.

1. მძიმე და განსაკუთრებით მძიმე კატეგორიის ისეთ დანაშაულთა საქმეებზე, სადაც დაზარალებულს მიადგა ფიზიკური ან მატერიალური ზიანი, რომელიც ანაზღაურებული არ არის, საპროცესო შეთანხმების დადებისას, ბრალდებულისათვის სავალდებულო პირობად შემოიღოს დანაშაულის აღიარებასთან ერთად, ზიანის ანაზღაურებაც, რაც აისახება საპროცესო შეთანხმების ოქმში და პროკურორის შუამდგომლობის საფუძველზე, დაკანონებული იქნება მოსამართლის განჩინებით;
2. აც შეეხება საქ. სსსკ 210-ე მუხლის 1³ ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევას, როცა გენერალურ პროკურორს უფლება აქვს სასამართლოს

მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის სამოქალაქო პასუხისმგებლობისგან სრულად ან ნაწილობრივ გათავისუფლების შესახებ, დაზარალებულს შეუნარჩუნდეს სრული უფლება, სახელმწიფოს მოსთხოვოს ზიანის ანაზღაურება, მიუხედავად იმისა საბოლოოდ დაიდება თუ არა საპროცესო შეთანხმება. ს.ს.ს.კოდექსის 58¹ მუხლში ჩაიწეროს (დაზარალებულის კოორდინატორის საქმეში ჩართვის მიზანია, დაზარალებულისთვის სამართალწარმოების პროცესში მონაწილეობის გამართივება, დანაშაულის შედეგად მიყენებული ზარალის სრული ანაზღაურება, გამოწვეული სტრესის შემცირება, ხელახალი ვიქტიმიზაციისა და მეორეული ვიქტიმიზაციის თავიდან აცილება და გამოძიებისა და სასამართლო განხილვის ეტაპებზე მათი ინფორმირებულობის უზრუნველყოფა.)

3. საქ. სსსკ-ის 218 მუხლით გათვალისწინებული საპროცესო შეთანხმების განსაკუთრებული შემთხვევა, რომელიც იძლევა ბრალდებულის პასუხისმგებლობის ან სასჯელისგან სრულად გათავისუფლების საშუალებას, ან/და მსჯავრდებულის სასჯელის გადახედვის შესაძლებლობას. აღნიშნულის თაობაზე შუამდგომლობის დაყენება, მხოლოდ გენერალური პროკურორის უფლებამოსილებაა. ჩვეულებრივი საპროცესო შეთანხმებისაგან განსხვავებით, ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია გარკვეული წინაპირობის არსებობა, კერძოდ: განსაკუთრებულ შემთხვევაში და საქმეზე ფაქტობრივი გარემოებები მოიპოვება ფარული საგამოძიებო მოქმედებების და ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ჩატარებით. საქართველოს გენერალურ პროკურორს უფლება აქვს, სასამართლოს მიმართოს შუამდგომლობით ბრალდებულის პასუ-

ხისმგებლობისაგან ან სასჯელისაგან სრულად გათავისუფლებას თუ: ბრალდებულ/მსჯავრდებულის საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შედეგად ირკვევა დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის ვინაობა ან/და მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩამდენი პირის ვინაობა და მისი უშუალო ხელშეწყობით იქმნება ამ დანაშაულის გახსნისთვის არსებითი პირობები. გენერალური პროკურორის მოტივირებული შუამდგომლობის საფუძველზე გაეცეს მოსამართლის განჩინება განსაკუთრებულ საპროცესო შეთანხმებას.

საგამოძიებო ორგანოებთან თანამშრომლობის შესახებ განსაკუთრებული საპროცესო შეთანხმება, შეიძლება გამოვიყენოთ დანაშაულთა ნებისმიერი კატეგორიის საქმეებზე, გარდა საქართველოს სსსკ-ის 144¹ – 144³-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა (წამება, წამების მუქარა, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობა) საქმეებისა.

თანამედროვე საპროცესო შეთანხმებას გააჩნია როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. კერძოდ:

1. უზრუნველყოფს სასამართლო ხარჯების შემცირებას
2. აჩქარებს საქმეზე გადაწყვეტილების მიღებას

3. ამცირებს საერთო სასამართლოს ინსტანციებში საქმეთა რაოდენობას.

საპროცესო შეთანხმების გამოყენებისას, შეიძლება წარმოიშვას „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციით“ აღიარებული და გარანტირებული სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლების დარღვევის საფრთხე, რისი აცილებაც თავიდანვე უნდა უზრუნველყოს საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩინის გამოტანის თაობაზე შუამდგომლობის განმხილველმა სასამართლომ, რომელიც უნდა იყოს გარანტი იმისა, რომ საპროცესო შეთანხმებით ზიანი არ მიადგება არა მხოლოდ ბრალდებულის, არამედ დაზარალებულის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. აქვე უნდა ითქვას, რომ თანამედროვე საპროცესო შეთანხმების ქართული ვერსია ითხოვს დამატებით კვლევას, გაანალიზებას, კერძოდ: საერთაშორისო კრიმინოლოგიურ ქრილში, სადაც სტატისტიკური მონაცემების მიხედვით იქნება შესწავლილი საერთაშორისო გამოცდილება, სასამართლო პრაქტიკის ხედვა ორგანიზებულ დანაშაულთან (ნარკომანია, ტრეფიკინგი, ტერორიზმი) ბრძოლაში. ნაშრომში დასმული კითხვა – საქართველოს სისხლის სამართლის პროცესის თანამედროვე საპროცესო შეთანხმების დადებას მართავს – მოსამართლე მართლმსაჯულებით თუ პროკურორი დისკრეციულობით? – ღიაა.

PLEA BARGAIN: JUSTICE OR PROSECUTORIAL DISCRETION

Anna Chighitashvili

*PhD in Law,
St. Andrew the First-Called Georgian University
of Patriarchate of Georgia – Associate Professor,
Professor at the European University*

KEYWORDS: Plea bargaining, Justice, Prosecutorial discretion

RESUME

A plea bargain is an institution that allows a court to convict without a substantive hearing. Its main priority is that it promotes speedy administration of justice. The institute has been widely established in Georgia and, despite criticism, has been used in most criminal cases since its inception.

As a result of the implementation of the principle of speedy justice in the modern criminal process, accelerated litigation will be actively resumed – the so-called Institute of Rapid Court.

Due to the peculiarities of using the institution of plea bargain in Georgia and reviewing Georgian legislation in this regard, it can be concluded that plea bargaining has both positive and negative aspects. Specifically: the use of a plea bargain institution reduces court costs, speeds up decision-making, reduces the number of cases in the common courts. The institute of plea bargaining is not just about pros. In its application, there may be a risk of a violation of the right to a fair trial guaranteed by the Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, which should be avoided by a court of first instance in a judgment of conviction without substantive consideration. It must be assured that the plea agreement does not prejudice the rights and legal interests of not only the accused, but also the victim. It should also be noted that the Georgian version of the modern plea bargain requires additional research, analysis, in particular: an international fo-

rensic context, where statistics will examine international experience, a view of judicial practice in the fight against organized crime (drug abuse, trafficking, terrorism). And the question raised in

my essay – Is the modern plea bargain in Georgia governed by justice or is it a discretion of the prosecutor? – is open.

NOTES:

1. <http://www.supremecourt.ge/statistics> (In Georgian)
2. Todria M., International Scientific Journal, Institute of Procedure in Georgia – Development Stages and Prospects, Tb 2015, p. 98. (In Georgian)
3. Managadze d. , Collection of scientific works, Georgian-British University of International Law and Management, Procedural Agreement – Experience and Practice, vol. III Tb. 2010, p. 167. (In Georgian)
4. Right there p. 167-168. (In Georgian)
5. Authors Group, Criminal Procedure Law of Georgia, Private Part, 2017, p. 564- 566. (In Georgian)
6. Criminal Procedure Code of Georgia, Article 209, part 2 (In Georgian)
7. Georgia Criminal Proceedings – Private Part, (J. Gakhokidze, I. Gabisonia, G. Mamniashvili – Editors), Tb. 2015, p. 636. (In Georgian).